GRASS
REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ნერილის რეგისტრაციის № 240
თარიღი: 13 11 2015 წ.

თბილისის საქალაქო სასამართლო

№2-04241/1147632

11.11.2015 წელი

ბატონ პაატა გაფრინდაშვილს

ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს
,,საქართველოს რეფორმების ასოციაციის" დირექტორის მოადგილეს

თბილისი, მიცკევიჩის №27

ბატონო პაატა

2015 წლის 9 ნოემბრის (რეგ.№ 469) მომართვის პასუხად, წარმოგიდგენთ თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებულ ინფორმაციას:

1.თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო დავები იხილება 14 სხდომათა დარბაზში. თითო დარბაზში დღის განმავლობაში ჩანიშნულია 7-10 პროცესი და სასამართლო სხდომები იმართება 15-30 წუთიანი ინტერვალით.

2. დღეის მდგომარეობით, თბილისის საქალაქო სასამართლოში სამოქალაქო საქმეებს იხილავს 29 მოსამართლე, ამათგან ორი მოსამართლე იხილავს ინტელექტუალურ სამართლებრივ დავებს.

3. 2015 წლის 1-ლი ივლისიდან 7 აგვისტომდე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სამოსამართლეო უფლებამოსილებას ახორციელებდა 33 მოსამართლე, სამი მოსამართლე იხილავდა ინტელექტუალურ სამართლებრივ დავებს, 7 აგვისტოდან 16 ოქტომბრამდე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სამოსამართლეო უფლებამოსილებას ახორციელებდა 35 მოსამართლე, სამი მოსამართლე იხილავდა ინტელექტუალურ სამართლებრივ დავებს, 16 ოქტომბრიდან დღემდე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში სამოსამართლეო უფლებამოსილებას ახორციელებს 29 მოსამართლე, ორი მოსამართლე იხილავს ინტელექტუალურ სამართლებრივ დავებს.

4. თბილისის საქალაქო სასამართლოში არსებული სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2015 წლის აგვისტოში სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში განსახილველად შემოვიდა 2020 სამოქალაქო საქმე, სექტემბერში 2260 საქმე, ოქტომბერში 2423 საქმე, ხოლო ნოემბერში (4 ნოემბრის მდგომარეობით) შემოვიდა 350 საქმე, აღნიშნული საქმეებიდან 35 საქმე წარმოადგენდა ინტელექტუალურ სამართლებრივ დავას. მოსამართლე თამაზ ურთმელიძეს აგვისტოს თვეში განსახილველად დაეწერა 38 სამოქალაქო საქმე, საიდანაც 1 საქმე წარმოადგენდა ინტელექტუალურ სამართლებრივ დავას, სექტემბერში განსახილველად დაეწერა 66 სამოქალაქო საქმე, ინტელექტუალური სამართლებრივი დავა იყო 13, ოქტომბერში განსახილველად დაეწერა 54 სამოქალაქო საქმე, ინტელექტუალური სამართლებრივი დავა იყო 1, ნოემბერში (4 ნოემბრის მდგომარეობით) განსახილველად დაეწერა 64 სამოქალაქო საქმე, ინტელექტუალური სამართლებრივი დავა იყო 2.

5. 2015 წლის 10 ოქტომბრიდან დღემდე მოსამართლე თამაზ ურთმელიძეს ერიცხება 489 სამოქალაქო საქმე, რაც შეეხება ინფორმაციას აღნიშნულ პერიოდში რამდენი სასამართლო სხდომა (სამოქალაქო დავა) იყო ჩანიშნული, მოგახსენებთ, რომ აღნიშნული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება.

6. მოსამართლე თამაზ ურთმელიძე იხილავს „დ" კატეგორიის დავებს, კერძოდ: უდავო წარმოების საქმეებს, გამარტივებული წარმოების საქმეებს, შრომითი სამართლებრივი დავებს, მუშაკის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენებასთან დაკავშირებულ დავებს, პირადი არაქონებრივი უფლებების დაცვასთან დაკავშირებული დავებს, ინტელექტუალური სამართლებრივი დავებს.

რაც შეეხება თქვენს მოთხოვნას, გაცნობოთ იძულებით დადებული ხელშეკრულების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით რა ვადებში ხდება საქმეების განხილვა, რა დროში განიხილება საქმეები სადაც

გამოყენებულია სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახეები, რამდენი დღე, თვე, ჯამში რამდენი საათი სჭირდება საქმის განხილვას, რამდენ შემთხვევაში დაფიქსირებულა საქმის განხილვისათვის კანონით გათვალისწინებული ვადიდან გადაცდენა, რამდენად ხშირად გრძელდება დავები 10:00 სთ-დან 18:00სთ-მდე, ასევე ბოლო ერთი თვის განმავლობაში თითო საქმეს (სამოქალაქო) საშუალოდ რამდენ საათს იხილავს მოსამართლე, მოგახსენებთ, რომ აღნიშნული ინფორმაციის სტატისტიკური აღრიცხვა და დამუშავება თბილისის საქალაქო სასამართლოში არ ხორციელდება, რის გამოც მოკლებული ვართ თქვენი თხოვნის ამ ნაწილში დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

ამასთან, გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება შეგიძლიათ, გაასაჩივროთ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ზემდგომ თანამდებობის პირთან, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

პატივისცემით,

ავთანდილ წამალაშვილი

სასამართლოს თავმჯდომარის
ბიუროს უფროსი კონსულტანტი

საქართველო, ქ. თბილისი 0131, დ. აღმაშენებლის ხეივანი, XII კილომეტრი; ტელეფონი/ფაქსი: (+995 32) 54-10-55; 54-10-56;
Georgia, Tbilisi 0131, David Aghmashenebeli Ave. XII km. Tel/Fax: (+995 32) 54-10-55; 54-10-56;
www.tcc.gov.ge